Konrad Adenauer Stiftung

დამიანი ადამიანისთვის მგელია, ანუ მგლისა და კრავის ამბავი

"Democracy is two wolves and a lamb voting what to have for lunch" – ბენჯამინ ფრანკლინი

ქართული დემოკრატია ფრანკლინისეული მოდელის კარგი მაგალითია. შაბოლოო ჯამში, ყველაფერი ისე ხდება, როგორც „ორ მგელს", ანუ, ძალაუფლებისმქონე პირებს უნდათ. „შეჭმული" კი ყოველთვის კრავი გამოდის, მიუხედავად იმისა, რომ აზრის გამოხატვის უფლება მასაც აქვს.

დემოკრატია „ხალხის მმართველობას ნიშნავს", თუმცა ჩვენთან ეს სიტყვა ორადაა გაყოფილი მისი საყოისი ნაწილი („demos") პარლამენტის კედლის აქეთა მხარეს იკრიბება ხოლმე, ხოლო მერე ნაწილი („kratos") ამას არ იმჩნევს. ამ მხრივ არსებული მდგომარეობა ცოტა ხნის წინ, ვარდების რევოლუციის, ანუ „დემოკრატიის გამარჯვების" ექვსი წლისთავზე კარგად გამოჩნდა, როდესაც პარლამენტის წინ მდგომი ახალგაზრდული ოპოზიციური მოძრაობის სამი ყვალაზე გამორჩეული აქტივისტი დააპატიმრეს. მანიფესტაციები „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონის დარღვევაში დაადანაშაულეს. შაპატრულო პოლიციის უფროსმა კი დაკავების მიზეზად აქციის აკრძალული ადგილიდან 50 მეტრის რადიუსში ჩატარება დაასახელა. თუმცა, რეალურად, კანონი მხოლოდ 20 მეტრის სიახლოვეს კრძალავს. შაინტერესოა ისიც, რომ მეორე დღეს ჩატარებული ექსპერიმენტისას, „მაესტროს" სამი ჟურანალისტისათვის იმავე ადგილზე იმავე ქმედების გამეორების გამო არანაირი სასჯელი არ დაუკისრებიათ.

ზგადად კი, ბოლო მიტინგებიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ კანონში „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" მისთვის სასარგებლო და დემოკრატიისათვის არცთუ საჭირო ცვლილებებიც შეიტანა. 2009 წლის 17 ივლისს მიღებული კანონით კიდევ ერთი „საკნების ქალაქის" თავიდან არიდების მიზნით „აკრძალულია ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვა ავტომანქანებით, სხვადასხვა კონსტრუქციებით ან/და საგნებით". საგულისხმოა საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან პოლიციის ახალი შენობის გახსნაც, რადგან მანიფესტაციებისათვის აკრძალულ ობიექტებში „პოლიციის, სასჯელთა აღსრულებისა და სამართალდამცავი ორგანოების შენობებიც" შედის.

მეორე მხრივ, დემოკრატია დემოკრატობს კიდევაც თუკი, ზოგიერთი ავტოკრატულ ქვეყანაში მეთაურის სახელის ცუდ კონტექსტში მოხსენება, სამართალდამცავი ძალების მიერ მკაცრად ისჯება ხოლმე. ჩვენთან ამ მხრივ გაცილებით მეტი თავისუფლებაა. იტინგების მიმდინარეობისას ოპოზიციის ლიდერების მხრიდან პრეზიდენტის მიმართ „კურდღლის", „ბაჭიის", „ფარჩაკის" და მსგავსი სიტყვების გამოყენება ხელისუფლებისაგან თითქმის დაუსჯელი დარჩა. მ შემთხვევაში აქტუალური ხდება და ამართლებს კიდეც ანდაზა: „ძაღლი იყეფებს, იყეფებს და გაჩუმდებაო".

თუმცა, ზოგადად, დემოკრატიის დეფიციტი არამხოლოდ ხელისუფლებაში, არამედ საზოგადოებაშიც კარგად იგრძნობა. დემოკრატია წესით, განსხვავებული

აზრის მიღებასაც უნდა გულისხმობდეს. ჩვენთან კი, ცოტა ხნის წინ, სხვის მიერ დამზადებული ვიდეოების გავრცელებისა და იმ აზრის გამოთქმის გამო, რომ „პატრიარქი ღმერთი არ არის“, თეა თუთბერიძე ლამის ინკვიზიციის ცეცხლში გაატარეს.

ასე დემოკრატიის განვითარება შეუძლებელია. საჭიროა, რომ ორივე მხარე კომპრომისულ გადაწყვეტილებამდე მივიდეს და „სანამ სხვის თვალში ბეწვის ძებნას დაიწყებდეს, ჯერ საკუთარში დირე შენიშნოს“. ვეყნის დემოკრატიულობა მხოლოდ მიტინგების ნებადართულობის მიხედვით არ განისაზღვრება, როგორც პლავტემ თქვა „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“, ამიტომ შესაძლოა, ფრანკლინისეული კრავიცა და მგელიც ჩვენში ერთდროულად აღმოჩნდეს.

ბექა ადამაშვილი